პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზა

თავისუფალ, დაცულ, განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე პოლონეთმა გრძელი გზა გაიარა. ყველაზე რთული მაინც 80 იანი წლები იყო, როცა მოძრაობა "სოლიდარობა" ძალებს იკრებდა - კომუნისტური წყობის დასამხობად და ახალი, სრულიად განსხვავებული პოლონური მოდელის ჩამოსაყალიბებლად. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პოლონეთი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გეოპოლიტიკური ვითარება კარგად გააცნობიერა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. შანსი 123 წლის წინ დაკარგული თავისუფლება დაებრუნებინა და გამხდარიყო ევროპული ოჯახის წევრი.

თავისუფლებისთვის ბრძოლის რთული 11 წელი 1991 -მა წელმა დაასრულა, როცა ბრიუსელთან ოფიციალურმა ვარშავამ ასოცირების შეთანხმება გააფორმა. ამით დაიწყო ეკონომიკური პროგრესიც, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებაც, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაც და რეფორმების განმტკიცებაც.

სიმბოლური იყო ისიც, რომ პრეზიდენტმა კვაშნიევსკიმ დაიწყო ევროპული კამპანია, ადამიანმა ვინც, "კომუნისტების მინისტრი" იყო, მართალია სპორტის მინისტრი, მაგრამ მაინც "საბჭოთა გუნდის წევრი".

2008 წელს, მაშინ როცა მთელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირისპირ აღმოჩნდა, პოლონეთი იყო იმ გამონაკლისებში რომლის ეკონომიკაც იზრდებოდა. როგორც მაშინ ამბობდნენ, ბევრი ევროპული ქვეყნისთვის პოლონეთი ოპტიმიზმის, სიძლიერის და იმედის სიმბოლო გახდა. დღეს ის მსოფლიოს ოც დიდ ქვეყანას შორისაა
რომელსაც ძლიერი ეკონომიკა აქვს, აწარმოებს ყველაფერს - თვითმფრინავებით დაწყებული, კოსმეტიკით გაგრძელებული და საბრძოლო იარაღით დასრულებული.

ეს რეფორმები, გარკვეულწილად ალბათ იმ “შოკური თერაპიის” დამსახურებაც იყო, რომლის წყალობითაც სუბსიდირება შეუწყვიტეს სახელმწიფო კომპანიებს და კერძოების დაარსება უფრო მარტივი გახადეს, ამას დაემატა ანტირუსული განწყობებიც და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლაც. ეს ქვეყანა დღეს მჭიდრო ეკონომიკურ და სავაჭრო პარნიორებად განიხილავს ბრიტანეთს, გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას და ა.შ და არ არის დამოკიდებული რუსულ ბაზარზე. ევროკავშირია სწორედ პოლონური პროდუქციის 80 პროცენტის მიმღები

უმუშევრობის დონე მკვეთრად შეამცირა და ადგილობრივების საშუალო შემოსავალი გაზარდა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ პოლონელების ქვეყნიდან წასვლამაც, თითქმის ორ მილიონ ნახევარი ადამიანი საზღვრებს გარეთ იმ იმედით გაემგზავრა რომ უკეთესი მომავალი ეძებნა.

ახლა სწორედ ამ ისტორია გამოვლილი ქვეყანაა საქართველოს ერთგული მხარდამჭერი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

ავტორი-ნატა ქაჯაია